151, 155, 150
F550 w7167

სამშობლო, დიდის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

1990 შაბათი 1 დეკემბერი №144 (10381) ფასი 3 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

# მკვიდრდება ახალი რეალობა

ახლა ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს განახლების რთული, მტკივნეული პროცესები, უფრო ზუსტად გიქნებით, თუ ასე ვიტყვით: ყოველ ჩვენგანში უნდა მოხდეს გარკვეული ხასიათის მეტამორფოზა. თუ არ გარდაიქმნა ჩვენი ფსიქიკა, ცნობიერება, ცხოვრების წესი, ვერაფერს მივაღწევთ. განახლების ძლევამოსილ პროცესებს საყრდენ წერტილად უნდა ჰქონდეს სულიერი საწყისი, ადამიანური პასუხისმგებლობისა და ღირსების განცდა. სხვანაირად ვერ გავაღწევთ არაკომპეტენტურობისა და უმადურობის, თვითნებობისა და უნდობლობის იმ დახშულ წრეს, რაც ათეულ წლობით აფერხებდა ჩვენს წინსვლას.

როგორ მოვახერხოთ ცხოვრების წესის, მეურნეობრიობის სისტემის რადიკალურად შეცვლა, სად და რანაირად მოვიმარჯვოთ ის მექანიზმები, რომლებმაც ახალი სტრუქტურების დამკვიდრება უნდა შეგვაძლებინოს? ძირითადად ამ უმთავრესი კითხვების გარშემო ტრიალებდნენ საქალაქო შეკრების მონაწილენი, სადაც ცხოვრების ახლებურად აწყობის მეტად საჭირბოროტო საკითხები ირჩეოდა.

შეკრების მონაწილეთა წინაშე ქალაქის სახალხო მეურნეობაში შექმნილ ამჟამინდელ ვითარებაზე და თავჩენილი პრობლემების გადაჭრის გზებსა და საშუალებებზე ისაუბრა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ბ. იზორიამ.

შეკრებაზე გამოიკვეთა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტში და სხვა დარგებში არსებული სიძნელეები. გვჭირდება საგანგებო, მიზანდასახული ღონისძიებების გატარება ვითარების სტაბილიზაციისათვის. არსებულ და სხვა მოსალოდნელ გართულებებს ერთიანი ძალისხმევა, მაღალი პასუხისმგებლობა და საკითხებისადმი ახლებური მიდგომის ჟინი უნდა დავუპირისპიროთ.

შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ და რიგი საგულისხმო წინადადებები დააყენეს საწარმოო გაერთიანება „საქქაღალდმრეწვის" გენერალურმა დირექტორმა ო. ფაცაციამ, № 12 სამშენებლო ტრესტის მმართველმა დ. ჭუჩულორიამ, ქალაქის საბინაო-კომუნალური მეურნეობის განყოფილების სამშენებლო უბნის უფროსმა ნ. შენგელიამ, პურ-პროდუქტების კომბინატის დირექტორმა

## საქალაქო შეკრება

ვ. გულორდავამ და სხვებმა.

შეკრების მონაწილეთა წინაშე გამოვიდა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი თ. ეორქოლიანი. მან ყურადღება გაამახვილა იმ პირველი რიგის გადაუდებელ ამოცანებზე, რომლებსაც ამ ეტაპზე უცილოდ უნდა მოეძებნოს თავი. ახლა საშურია ვეძიებდეთ პრობლემების ახლებურად გააზრებისა და მათი გადაჭრის არასტანდარტულ გზებსა და მექანიზმებს. საბაზრო მეურნეობა მთლიანად შეცვლის დღემდე მოქმედ სტრუქტურებს, ყველა დონის ურთიერთობათა სისტემას. ამიტომაც გაბედულად უნდა დაიძლიოს მუშაობისა და აზროვნების ძველებური სტერეოტიპები, სხვისი მოიმედეობის განწყობილება. ის, ვინც ჭეშმარიტი მამულიშვილია, მხარს უჭერს საქართველოში მიმდინარე განახლებას, ყოველთვის იპოვის თანამგრძნობს, დამფასებელს, მხარში ამომდგომს. ერთგულსა და თავდადებულ ადამიანებს მუდამ ექნებათ ნდობის კრედიტი საზოგადოების მხრიდან. და ეს ამჟამად ყველაზე დიდი მორალური კაპიტალია. არაორაზროვნად და ცალსახად, ყოველგვარი მუქარის ტონის გარეშე, გულწრფელად გაცხადდა საქართველოს ახალ ხელისუფალთა ნება იმ პირთა მიმართაც, რომლებიც შეეცდებიან თავიანთი მოქმედებით ხელი შეუშალონ პოზიტიური მოვლენების განვითარებას, შეეცდებიან შანტაჟის, საბოტაჟის, სხვა ანტისაზოგადოებრივი რეციდივების გაღვივებას, ასეთების მიმართ უმკაცრესი ზომები იქნება მიღებული.

გადაწყდა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან შეიქმნას შესაბამისი კომისიები პრინციპული და კომპეტენტური პირების მონაწილეობით, რომლებიც მომავალი მუნიციპალური არჩევნების ჩატარებამდე განახორციელებენ ოპერატიულ და ქმედით ზომებს ცალკეულ დარგებში არსებული პრობლემების გადაწყვეტისათვის, ვითარების სტაბილიზაციისათვის. ამ კომისიებში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობა ერთიორად უფრო ქმედითსა და მობილურს გახდის მათ მუშაობას, უცილოდ გამოიღებს ხელშესახებ შედეგს.

ეს შეკრება გახლდათ პირველი ღონისძიება, ერთგვარი პრეცედენტი ნამდვილად მრავალპარტიული სჯა-პაექრობისა. თვით ის ფაქტი, რომ მკვიდრდება ახალი რეალობა ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში, საჭირბოროტო საკითხების გარშემო ყალიბდება სხვადასხვა საზოგადოებრივი პოზიციების ფართო სპექტრი, მეტად იმედის მომცემია.

## გუდაუთელთა ავკაცობის ექო

# დღის სინათლეს ვერსად წაუვა

**ნ. ქორთუა—ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრი—ისტორიული მუზეუმის განყოფილების გამგე:**

გუდაუთაში მომხდარმა ინციდენტმა ისე აღმაშფოთა, რომ სიტყვების მოძებნა მიჭირს გულისწყრომის გამოსახატავად. ისევ აღზევდა სატანის სული, გონება აუმღვრია შურითა და ღვარძლით გულგასენილ ადამიანებს. ადამიანებს კი არა, მე მათ კაცუნებს ვუწოდებდი. ვაგლახ, სანამდის მიდის უგუნურება. ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ამას თუ შეჰკადრებდნენ, ვეღარ წარმომედგინა, ეს პიროვნება ხომ მთელი ერის სინდისისა და ზნეობის სიმბოლოა. და ხელი აღმართო მასზე, ეს ერის წინააღმდეგ გალაშქრებას ნიშნავს.

და მაინც მგონია: ეს არ იყო აფხაზი ხალხის ნების გამოხატვა. ეს მისი ულირსი, ბნელი ნაწილის მიერ პროვოცირებული მტრული აქცია გახლდათ, რაზეც თვით აფხაზ ხალხს მოსცხო ჩირქი. არა, ასეთი ავკაცობით სახქეთის ვერაფერს მიაღწევთ, ვაჟბატონებო. ქართველთა მოთმინებასაც აქვს საზღვარი. შეიგნეთ ეს, მოუხმეთ გონებას და თავად ეცადეთ სიძულვილის ჭაობიდან ამოსვლას.

**ჭ. ჯიქია—ომისა და შრომის ვეტერანი,** ერის სასიქადულო პიროვნება, წმინდა კაცი ილია მეორე მხოლოდ სიყვარულმა ჩაიყვანა აფხაზეთში. მას აქ თავისი სათაყვანებელი სამშობლო, თავისი სამწყსო ეგულებოდა. მოინახულა სამლოცველოები, შეხვდა მრევლს, ილოცა მათი სულებისთვის. კეთილი ნების ადამიანებში მისმა იქ ყოფნამ ურთიერთსიყვარულისა და თანალმობის ფაქიზი გრძნობები გააღვივა. მაგრამ გუდაუთაში თურმე უხიზლობდა ეშმაკი. ჰკუამოკლე სეპარატისტების გამძვინვარებულმა ბრბომ შესცოდა კაცსაც და ღმერთსაც.

**ჟ. ფილფანი—ინგირის კოლმეურნეობის მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქტორი:** ხუმ თქვა მეკვრის, არ ვიცი რა ვთქვა, როგორ ვიფიქრო. რა დონემდე უნდა დაეცეს ძეხორციელი, რომ ერის სულიერი მამის მიმართ ხელი აღმართოს. ეშმაკის მიერ გზააბნეული არაკაცები ივიწყებენ თვალნათელ რეალობას. ასეულობით ქართველი და აფხაზი სისხლით და ხორცით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. ვერ წარმომიდგენია, ვის აწყობს ორმხრივი ნათესაური კავშირების ასე ვერაგულად გაწყვეტა. სამწუხაროა, რომ აფხაზეთის უგუნური წარმომადგენლები ჩვენი საერთო მტრის ანკესზე წამოეგნენ და ძმათა შორის შუღლსა და მძულვარებას თესავენ. მაგრამ ღმერთი მჯერა და ამ რწმენას ვერავინ შემირყევს: ამ ვანდალური აქტის ინიციატორები უმკაცრესად დაისჯებიან. ხალხი დასწყევლის, შეაჩვენებს მათ.

**ნ. ქარჩავა— ქალაქის მესამე საშუალო სკოლის მასწავლებელი:**

ყველაფერი დღესავით ნათელია: გუდაუთელთა და ლიხნელთა ვანდალური გამოხდომა სისასტიკისა და აღვირახსნილობის ყოველგვარ საზღვრებს სცილდება. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ვიღაცას განუზრახავს ქართველი ხალხის მოთმინებას მკაცრი გამოცდა მოუწყოს. თუმცა ამ „ვიღაცის" ამოშიფვრა დღეს უკვე აღარ არის ძნელი. აფხაზებს აქეზებს ბოროტი მესამე ძალა, ვინც ვერ შეგუებია უნიტარული საბჭოთა სახელმწიფოს დემონტაჟს. ეროვნული თვითდამკვიდრებისათვის წამოწყებული სამართლიანი მოძრაობები აბოროტებს იმპერიულ ძალებს. აფხაზეთი არის ის კოზირი, რომლითაც ისინი ცდილობენ შეაფერხონ ქართველი ხალხის სწრაფვა სახელმწიფოებრიობის აღსადგენად.

მინდა ამ სიტყვებით შევეხმიანო გონებაარეულ ექსტრემისტებს: ცეცხლს ნუ ეთამაშებით, გონს მოდით, ვაჟბატონებო. ბოლოს და ბოლოს დროა მიხვდეთ, ვინ გიმზადებთ ტრაგიკულ ხვედრს. სამუდამოდ ნუ ჩაანგრევთ იმ ხიდებს, რომლებიც ჩვენს ორ ხალხს ოდითგანვე აერთიანებდა.

# ესტონეთის დელეგაცია საქართველოში

## შეხვედრა საქართველოს უზენაეს საბჭოში

27 ნოემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ მიიღო ჩვენს რესპუბლიკაში მყოფი ესტონეთის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ამ რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბატონი ედგარ სავისაარი.

საუბრის დროს, რომელმაც თბილ და კონსტრუქციულ ვითარებაში ჩაიარა, შეეხნენ ორივე მხარისათვის საინტერესო ფართო წრის აქტუალურ საკითხებს. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა დაამყარონ მჭიდრო ურთიერთობა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეურნეო პრობლემების ერთობლივი გადაჭრის მიზნით, რომლებიც თავს იჩენენ გარდამავალი პერიოდის პირობებში, როგორც ესტონეთში, ისე საქართველოში. ბატონმა ედგარ სავისაარმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ყალიბდება ახალი სახელმწიფო ინსტიტუტები ესტონეთში, სიძნელეებზე, რომლებსაც აწყდება რესპუბლიკის მთავრობა. მან თქვა, რომ ესტონეთში დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს მოვლენების განვითარებას საქართველოში და ესტონელ ხალხს გულწრფელად ახარებს უკანასკნელი სამოცდაათი წლის მანძილზე პირველი მრავალპარტიული არჩევნების შედეგები.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბატონი თენგიზ სიგუა, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ბატონები აკაკი ასათიანი და ნემო ბურჭულაძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ოთარ მელქაძე, საქართველოს უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიათა თავმჯდომარეები, პრესცენტრის ხელმძღვანელი, მინისტრები, ესტონეთის დელეგაციის წევრები, სხვა ოფიციალური პირები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ნეტავი დედას, შვილმრავალსა!..

ამ რამდენიმე თვის წინ ჩვენს გაზეთში მოგითხრობდით მზია და გულივერ ხაჯაიების მრავალშვილიან ოჯახზე, მათ ცხოვრებისეულ პრობლემებზე, ვიუწყებოდით აგრეთვე, რომ ეს მრავალშვილიანი ოჯახი მონაწილეობდა თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ მრავალშვილიანი ოჯახთა თავყრილობაზე.

მეცხრე შვილს ელოდებოდნენ ხაჯაიები. თუ ბიჭი დაიბადა, მერაბს დავარქმევთ, დიდი მერაბის მოსახსენიებლად, ამბობდა ოჯახის მამა.

27 ნოემბერს დაიბადა მეცხრე შვილი. გახარებული მამა ამ დღესვე რედაქციაში გვეწვია და გვახარა კიდევ ერთი ქართველის დაბადება. სამ ძმას და ხუთ დას კიდევ ერთი და შეემატათ.

—ბიჭს ველოდებოდით, ბიჭი უნდოდა დედამისს, —ამბობს გულივერი,—გოგოა, გოგო შეგვეძინა, ჯერ სახელიც არ დაგვირქმევია.

გადავწყვიტეთ რედაქციამ დანათლოს სახელი—თამარი, უკეთეს სახელს რას დაარქმევთ.

—კარგია, ამბობს მამა—ძალიან კარგია!

## ცხრა ვარსკვლავი

თამარ ხაჯაია—დაიბადა 1990 წლის 27 ნოემბერს, წონა—3,800, სიგრძე—53 სანტიმეტრი. დედა—მზია ხახია—33 წლის, მამა—გულივერ ხაჯაია—42 წლის. თამარს ჰყავს სამი უფროსი ძმა—ლაშა, ილარიონი, როინი და ხუთი უფროსი და—მაია, ნანა, ნინო, მონიკა, ნათია. უფროსი ძმები ტექნიკუმში სწავლობენ, დანარჩენები სკოლაში, უმცროსის გარდა.

ყურადღებით სარგებლობს ხაჯაიების ოჯახი ხელისუფლებისაგან. ამას წინათ მოუგვარდათ საკითხი ბინის გაფართოების შესახებ. ამას გულივერი საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელებს უმადლის.

ცხრა შვილს შეხარიან მშობლები, ცხრა ვარსკვლავს, ერთმანეთზე ლამაზებს, ღმერთმა უხვად რომ დააბერტყა კალთა ყოველგვარი სიკეთისა.

იხარონ მრავალშვილიანმა ფუძემ. ეს პატარები ხომ მომავალი თავისუფალი საქართველოს ღირსეულ შვილებად გაიზრდებიან.

## რუხის ციხეზე ფრიალებს დროშა

ქართული ეროვნული ცნობიერებისა და სულიერი აღზევების დამადასტურებელი კიდევ ერთი შესანიშნავი, ღრმად სიმბოლური მოვლენის მოწმე და თანამონაწილე გახდა ათასობით ზუგდიდელი, უამრავი სტუმარი, ყველა, ვინც 24 ნოემბერს მობრძანდა ღვთისმშობლის კარის ეკლესიაში. აქ ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის ოდიშის სადროშოს თაოსნობით და ზუგდიდის „მრავალი მიჯნურის“ წარმომადგენელთა მონაწილეობით გაიმართა წმინდა ცერემონიალი — ღვთისკურთხევა გორგასლიან-დავითიან-თამარიანი დროშისა, იმ დროშის, რომელიც წინ მიუძღოდა ჩვენს სულგანათლებულ წინაპრებს ბრძოლებში შესვლისას.

დროშა აკურთხა კარის ეკლესიის წინამძღვარმა მამა მიქაელმა. შემდეგ დროშა გამოასვენეს ეკლესიიდან, პროცესიამ დროშით შემოიარა ქალაქი და გეზი აიღო რუხის ციხე-სიმაგრისაკენ. დაუვიწყარი, ამაღელვებელი იყო რუხის ციხეზე მაღლით მოხილი დროშის აღმართვის დიდებული წუთები.

მოვლენის აღსანიშნავ საზეიმო შეკრებას გახსნა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის ოდიშის სადროშოს მეთაურმა გიორგი ტყებუჩავამ. სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე აკაკი ასათიანი, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები: ვალტერ შურღაია, ზვიად ბოკუჩავა, ტარიელ გელანტია, გურამ მაქაცარია და სხვები.

გიხაროდეს! რუხის ციხიდან ენგურისპირა სანახებს თვალ და გულგასახარად დაჰმზერს ქართლოსიანთა კურთხეული დროშა.

## ეროვნული ლიტერატურის ერთი ნიმუში

წიგნს სათაური თავისთავად მრავლისმთქმელია: „დიდი სახლები პატარა ჩარჩოებში“. ამ ისტორიულ-მხატვრული ნარკვევების კრებულის ავტორი თამარ პაპავა ქართული ემიგრანტული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელია. საერთოდ, თამარ და აკაკი პაპავების სახელი დღეს არავისთვის არ არის უცხო. თავისუფლებისათვის ორი დაუღალავი მებრძოლი, რომელთა შემოქმედებას საკმაოდ კარგად იცნობს დასავლეთის სამყარო, სრულყოფილად წარმოადგენს ამ ასპარეზზე ქართველ ხალხს. ისინი მთელი ცხოვრების მანძილზე მიისწრაფოდნენ დიადისაკენ და იღვწოდნენ იმ ღირებულებების სრულყოფისათვის, რაც მათ საფუძვლად დაუდეს თავიანთ შემოქმედებას. როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში სწორედ პაპავებმა შეისყიდეს და არგენტინაში გაიტანეს საუკუნის წინ საქართველოდან მოპარული ხოანის ტაძრის ფარდაგი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ დაუბრუნდა სამშობლოს.

თამარ პაპავა თავის თხზულებაში მიზნად ისახავს გვაჩვენოს ქართველი ქალის როლი და განცდები იმ გმირულ ბრძოლებში, რომლებსაც აწარმოებდნენ თავისუფლების შესანარჩუნებლად საქართველოს ყოველი სამეფოები და სამთავროები. კრებული პირველად პარიზში გამოიცა, 1987 წელს, ექვთიმე თაყაიშვილის წინასიტყვაობით. მეტად საგულისხმოა წინასიტყვაობაში გამოთქმული დიდი მამულიშვილის სიტყვები: „ქალის განსაკუთრებული როლი ქართულ ისტორიაში ცნობილია. ქალი იყო ქართული ოჯახის ბურჯი, სიმტკიცე და საფუძველი სახელმწიფოსი... ქართველი ქალი უზრდიდა საქართველოს ღირსეულ შვილებს, არანაკლები იყო ქართველი ქალის როლი პოლიტიკაშიც, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. ქართველი საზოგადოების გამგერ- [illegible] ყოველთვის ქალი იყო“.

თამარ პაპავამ წიგნი გამოსვლისთანავე საქართველოში გამოუგზავნა პროფესორ იოსებ მეგრელიძეს. მან „დიდი სახლები პატარა ჩარჩოებში“ ავტორის სამშობლოში პირველად გამოსაცემად გადასცა თეატრალური ხელოვნების პროპაგანდის ცენტრის სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილებას. ამ უკანასკნელმა კი ზემოხსენებული დიდებული მანდილოსნების ღირსეული მემკვიდრეების — 9 აპრილს დაღუპული ქართველი ქალების ნათელ ხსოვნას უძღვნა წიგნის გამოცემა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თამარ პაპავას წიგნი მონოგრაფიული ხასიათის ექვსი ნარკვევისაგან შედგება. ერთ-ერთ ნარკვევში „სამეგრელოს დედოფალი ნინო“ საკმაოდ ვრცლადაა წარმოჩენილი სამეგრელოს სამთავროს მთელი ისტორია დღიდან რუსეთის პროტექტორატისა.

ერთი სიტყვით, „დიდი სახლები პატარა ჩარჩოებში“, რომელიც ჩვენი ქალაქის „საქწიგნის“ მაღაზიებში იყიდება, ამართლებს მოლოდინს და მხატვრულობის თვალსაზრისით სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ ლიტერატურის, კერძოდ, ემიგრანტული ლიტერატურის როლი ერის აღორძინების პროცესში კიდევ უფრო გამოიკვეთება და დაზუსტდება. თანდათან დაიბეჭდება უცხოეთში შექმნილი ბევრი ნარკვევი, ლექსი თუ რომანი, რომელთა გამოქვეყნება, ჯერ კიდევ ამ რამდენიმე ხნის წინათ, შეუძლებელი იყო. ახლა, როგორც ვხედავთ, უკვე ფართოდ გაიშალა ქართული ემიგრაციის უმდიდრესი შემოქმედების ათვისება.

**ნუგზარ გულორდავა,**
ზუგდიდის მწერალთა განყოფილების კონსულტანტი, მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის ბიუროს რწმუნებული

ამ დღეებში გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ ფურცლებზე გამოქვეყნდა საქართველოს ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირის მთავარი კომიტეტის

სპორტში გამოყენების საქმის ენთუზიასტები ცხენსაშენისათვის ადგილს რომ ვარჩევდით, სოფლების მკვიდრნი გვიწვევდნენ მეგზურებად—თან გვიხსნიდნენ—ეს

შემადგენლობა დემოკრატიული წესით აირჩევა. სოფელში მცხოვრებ ყველა გლეხს უნდა მიეცეს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე სამეურნეო საქმიანობის უფლე-

### სოფელი სოფლის მკვიდრს ეკუთვნის

## დაუბრუნდეს ისტორიული ტერიტორიები

წავიკითხე ილიკო ქობულაშვილის წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს რაიონებში ზოგიერთი პრივილეგირებული პირისა და მათი ერთგული ადამიანებისათვის სპეციალურადაა შექმნილი ცხოვრების განსაკუთრებული პირობები, ავტორი ძირითადად გულისხმობდა თბილისის ახლომდებარე სოფლებში მიტაცებულ მიწებს.

მსგავსი მდგომარეობაა ჩვენს რაიონშიც, განსაკუთრებით ანაკლიის, ერგეტის, ჭურიისა და ცაიშის ტერიტორიებზე, რომლებსაც ჩამოჭრილი აქვთ ისტორიულად კუთვნილი საძოვრები, სავარგულები, ტყის ზოლი, რის შედეგადაც მოშლილია ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა, არ ვითარდება სოფლის მეურნეობა.

სოფლის არამკვიდრთა ხელში ჩავარდნილი მიწები განუკითხავად გაცემულია, ქალაქისა და რაიონის ორგანიზაციებს ათობით ჰექტარი მიწა მიუთვისებიათ. ბუნების, ტყის მოსპობამ გაანადგურა ფაუნა, გადაიხვეწნენ კოლხური ხოხბები, შველები, ტურა, მგელი, გარეული ღორი, ასევე თავშესაფარი დაკარგეს შინაურმა ცხოველებმა, განსაკუთრებით ადგილობრივი ჯიშის ცხენებმა, რომელსაც ტყე ზამთარ-ზაფხულ იფარებდა.

სწორედ ადგილობრივი ჯიშის ცხენებ-ს მოშენებას, მათი სოფლის მეურნეობასა და ეროვნულ

მიწები [illegible] კომუნისტს ეკუთვნის, ეს ენგურჰესის იყო, ახლა მე-12 ტრესტმა შეისყიდა, ეს გვირაბმშენის ეკუთვნის, ეს რუსს, კახას, ინგირის კოლმეურნეობას და ასე შემდეგ. თითქმის 30 ორგანიზაციამდე ჩამოვითვალეს, რომლებიც დასახლებულნი არიან ანაკლიის, ერგეტის, ჭურიის, ცაიშის მიწა-წყლებს. ვინ უკეთ გამოიყენებს ამ მიწებს, მოიყვანს მოსავალს, ენგურჰესიდან, გვირაბმშენიდან, ჯიხაშკარიდან, ვინც რუსეთიდან წამოსული მუშა, თუ ადგილობრივი გლეხი. პასუხზე ორი აზრი არ არსებობს.

ზემოხსენებული წერილის ავტორი ა. ქობულაშვილი სწორ გამოსავალს სახავს, რომელსაც ალბათ უმრავლესობა დაეთანხმება. საჭიროა ყოველ სოფელს, დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს ისტორიულად კუთვნილი ტერიტორია, ყოველ სოფელში უნდა შეიქმნას ადგილობრივი მმართველობის ორგანო, რომლის

სი და შესაძლებლობა, რათა შეიქმნას ის დოვლათი, რომლის მომხმარებელიც მთელი საქართველო იქნება.

ვიმედოვნებთ, რაიონისა და განსაკუთრებით ადგილობრივი ხელმძღვანელობა, რომლებმაც დაარიგეს ისტორიულად კუთვნილი ტერიტორიები, თვითონვე ითავებენ და უკანვე დაუბრუნებენ სოფელს მას, რათა გადიდდეს საძოვრები, გაშენდეს ტყეები, მომრავლდეს მისი ბინადრები, რათა სოფელი მოღონიერდეს. ეს საქმე პირველ რიგში უნდა ითავოს რაისაბჭოს აღმასკომმა, მისმა თავმჯდომარემ, მათ არ უნდა ეპატიოთ პასიურობა, პირიქით, აქტიურად უნდა ჩაებან ეროვნული საკითხების მოგვარებაში, რომელთა შორის ეროვნული სპორტის განვითარებაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

**გოგი ჭიჭია,**
ანაკლიისა და ერგეტის მშრომელთა თხოვნით მეგრული ჯიშის ცხენსაშენის შექმნის ინიციატორი.

## გრძელდება დეპოლიტიზაცია

28 ნოემბერს შედგა ქ. ზუგდიდის სახალხო განათლების განყოფილებასთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრება, რომელმაც მიზანშეწონილად ჩათვალა საქართველოს რესპუბლიკის, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და მრავალპარტიულობის პირობებში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების დეპოლიტიზაცია, მიიღო დადგენილება კომპარტიის პირველადი პარტიული ორგანიზაციის გაუქმებისა და სახალხო განათლების განყოფილებაში ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის არსებობის მიზანშეუწონლობის შესახებ.

## სპორტი

# „შევარდენის" საფეხბურთო ჩემპიონატზე

ხუთ თვეზე მეტხანს მიმდინარეობდა სპორტული საზოგადოება „შევარდენის" რაისაბჭოს 1990 წლის პირველობაზე შეჯიბრება ფეხბურთში, მასში მონაწილეობდნენ რაიონის კოლმეურნეობების, მეურნეობებისა და სოფლის სხვა ორგანიზაციების შრომითი კოლექტივები.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 28 გუნდი, რომელიც დაყოფილი იყო სამ ზონად. ზონებში პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდების ფინალი ჩატარდა ერთ წრედ, სადაც თავი მოიყარა ექვსმა უძლიერესმა გუნდმა — ხეცერის, ჯიხაშკარის, რუხის, რიყის, ორსანტიის და კახათის კოლექტივებმა.

შეჯიბრება მეტად დაძაბული და საინტერესო გამოდგა მის ორგანიზებულად და მაღალკვალიფიციურად ჩატარებას ხელი შეუწყო მსაჯთა ბრიგადის პროფესიონალიზმმა და ობიექტურობამ მთავარი მსაჯის ბესიკ შეროზიას ხელმძღვანელობით.

პირველი ადგილი დამსახურებულად მოიპოვა ხეცერის ჩაის მეურნეობის ფეხბურთელთა გუნდმა, მეორე ადგილზე ჯიხაშკარელები არიან, ხოლო მესამეზე — რიყის კოლმეურნეობა. მომზადებული გუნდები გამოიყვანეს: ზედა-ეწერის, ჩხორიის, ტყაიის, ნაცატუს, ახალაბასთუმნის, განარჯიის მუხურის, ცაიშის, ურთის, ონარიის, შკადუაშის, რუხის, კახათის, ორსანტიის, ოდიშის, ახალკახათის ფიზკულტურის კოლექტივებმა.

დასანანია, რომ ამ სერიოზულ ასპარეზობაში მონაწილეობა არ მიიღეს ახალსოფლის, ინგირის, ნარაზენის, ჭითაწყარის კოლმეურნეობებმა, დიდინეძის, ანაკლიის, ნარაზენის მეურნეობებმა.

როცა საუბარია ეროვნული ფეხბურთის აღორძინება-განვითარებაზე, ძირეული კოლექტივებიდან უნდა ვეძიოთ იგი. ზოგიერთი ხელმძღვანელი თამაშის დღეებში ფეხბურთელებზე მივლინების ხარჯების გაცემისგან თავს იკავებს, თითქოს ეს უკანონო ხარჯები იყოს. შევახსენებთ მათ, რომ თამაშის დღეებში 18 მონაწილეს და ერთ წარმომადგენელს ეკუთვნის თითოეულს 4 მანეთი და გზის ხარჯების ანაზღაურება, ასევე სეზონის განმავლობაში 8 სპორტული ფორმის კომპლექტი.

დასასრულ, გაცნობებთ, რომ საზოგადოების რაიონულმა საბჭომ გამარჯვებული კოლექტივები დააჯილდოვა ფასიანი საჩუქრებით და შესაბამისი დიპლომებით.

შ. ჩანგელია,
სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რაისაბჭოს თავმჯდომარე.

## მარლოს ესართიას ხსოვნას

# გამოსათხოვარი

არა, ნამდვილად უდროო იყო შენი სიკვდილი! ჯერ მხოლოდ 11 წლის ითვლიდი, ამ მოკლე დროში თითქმის ყველაფერი მოასწარი; ცნობილი ინჟინრის დომენტი ესართიას უფროსმა შვილმა მისი გზა აირჩიე — შენც ინჟინერი გახდი. მამაშენი ბ-ნი დომენტი 50 წლისა გარდაიცვალა. შენ უფროსობდი და, კარგადაც, უმამო ოჯახს. სამი შვილის მამა ხარ, შუათანა შენი გვარის გამგრძელებელი — გიგა, ჭოხის ცხენზე ამხედრებული ყიჟინით დარბის დამწუხრებულ ეზოში. 7 წლის მადონა, უფრო ნაზი და ჩუმი გოგონა, ვითომ იფერებს მწუხარებას, მთლად უმცროსი კი — წლინახევრის ანიკო საჩვენებელ თითს შენსკენ იშვერს, უკვირს პატარას შენი გაჩუმება.

ეროვნული ჩემპიონატით გახარებული იყავი. მატჩებს არ გამოტოვებდი. 21 ნოემბერსაც სტადიონიდან სახლში მივიხაროდა. ჭიშკართან აქრე ლაქვრიმებული და სამი შვილის ობლად გადაგებული დედა გელოდა. უკვირდა შენი დაგვიანება, რაც მანამდე არა ჭირდა. გელოდით, მაგრამ ვაი, რომ ვერ მოგვიხვედი! ბრმა შემთხვევამ იმსხვერპლა შენი ახალგაზრდა სიცოცხლე.

მერე და როგორ ხარობდი საქართველოში მიმდინარე მოვლენებით, როგორ დაულალავად ილვწოდი საქართველოს მრავალპარტიულ არჩევნებში პროგრესული ძალების გამარჯვებისათვის.

ჭირში თანაზიარი და ლხინში მომლხენი, ქართველი „კაი ყმა", აი ვინ იყავი, ჩვენო მარლონ! ასეთად დარჩები №12 სამშენებლო ტრესტის კოლექტივისათვის, სადაც შენ ილვწოდი, ყველა იმათ გულში, ვინც შენ გიცნობდა...

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა.

მეგობრების ჯგუფი.

# ა. ა. ახალაია

სახალხო განათლების მუშაკთა რიგებს გამოაკლდა დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი, საქართველოს სახალხო განათლების წარჩინებული, სკკპ წევრი 1937 წლიდან, ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი აბრამ ალექსის ძე ახალაია.

ა. ახალაია დაიბადა 1917 წელს სოფელ განმუხურში. 1932 წელს დაამთავრა დარჩელის არასრული საშუალო სკოლის სრული კურსი და სწავლა გააგრძელა ზუგდიდის პედაგოგიურ ტექნიკუმში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1935-37 წლებში მუშაობდა საქ. ალკკ ზუგდიდის რაიკომის ინსტრუქტორად, განმუხურის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად, დარჩელის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლად. იყო პირველი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე. დაუსწრებლად დაამთავრა ქუთაისის პედინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ოთხი კურსი, შემდეგ მუშაობას აგრძელებს ბაშის დაწყებითი სკოლის გამგედ. ქალაქ ზუგდიდის მეხუთე და მეთორმეტე საშუალო სკოლების მასწავლებლად და დირექტორის თანაშემწედ სამეურნეო დარგში. აქტიურად მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში, დაჯილდოებულია სამამულო ომის ორდენითა და მედლებით.

შრომისა და ომის ვეტერანის, აქტიური საზოგადოებრივი მუშაკის, გულისხმიერი ამხანაგის ა. ახალაიას ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და აღზრდილთა გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი
ა. ჭანტურია

## მილოცვები. სურვილები

ქ. ზუგდიდის პოლიკლინიკის მთავარ ექიმს, რესპუბლიკის დამსახურებულ ექიმს ნესტორ იასონის ძე კვიდიას ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ დიდი ხნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ქ. ზუგდიდის პოლიკლინიკის თანამშრომლები.

კულტურის საქალაქო განყოფილების თანამშრომლები ულოცავენ ანსამბლ „ჩელას" ლოტბარს ვახტანგ (ვოვა) ვლადიმერის ძე ჯორჯიკიას და მთავარ ქორეოგრაფს ვახტანგ (რევაზ) მიხეილის ძე გულიას საქართველოს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭებას.

ელექტროენერგიის მომხმარებელთა საყურადღებოდ!

„საქენერგოს" სისტემაში ელექტროენერგიისა და სიმძლავრის დეფიციტთან დაკავშირებით საღამოს პიკის საათებში 18 საათიდან 20 საათამდე აუცილებელი ხდება გარკვეული შეზღუდვების ჩატარება.

ვითვალისწინებთ რა ქალაქის ნორმალური ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ელექტრომომარაგების აუცილებლობას, აღნიშნულ პერიოდში ელექტრომომარაგება შეუნარჩუნდებათ მხოლოდ სავალდებულოებს, პურის ქარხანას, ქაღალდის კომბინატს, ფაიფურის ქარხანას, ტროლეიბუსების წევის ქვესადგურებს, ცენტრალური გათბობის ქვესადგურებს.

ვინაიდან აღნიშნული ობიექტების მკვებავ ელექტრულ ხაზებზე და ქვესადგურებზე მიერთებულია მიმდებარე ქუჩების მოსახლეობაც, ელექტრომომარაგება აღნიშნულ უბნებზე შენარჩუნებული იქნება.

ვთხოვთ შეზღუდვით გამორთული უბნების მოსახლეობას სწორად გაუგოს შექმნილი მდგომარეობა, რითაც დაგვეხმარებიან ზამთრის მაქსიმუმის პერიოდის შედარებით უმტკივნეულოდ გატარებაში.

„საქენერგოს" ზუგდიდის ელექტროქსელი.

ექიმი ნევროპათოლოგ-კოსმეტოლოგი ნინა ვლადიმერის ასული ოვრახი (კიევიდან) პაციენტებს ღებულობს 21 დეკემბრამდე (შემდეგი მისამართით) პლეხანოვის ქუჩა №24. ყოველდღე (ორშაბათის გარდა) დილის 9 საათიდან 14 საათამდე (ბინაში სანიტნორმები დაცულია, საფინანსო განყოფილების მიერ დაშვებულია).

ექიმი კურნავს თირკმლებს, ლვიძლს, ალერგიას, ფსორიაზს, ხსნის სხვადასხვა ხასიათის ტკივილებს, კურნავს და კონსულტაციას ატარებს სახის კანის დაავადებებზე.

ნარაზენის ჩაის მეურნეობასთან იქმნება ქართული და ინგლისური ენების შემსწავლელი კურსები. სამუშაოდ ვიწვევთ აღნიშნული ენების სპეციალისტებს. ცნობებისათვის დარეკეთ 2—80—56.

მეურნეობის დირექცია.

დამოუკიდებელ საწყისებზე მომუშავე კოოპერატივი „ვენტილაცია" გთავაზობთ წარმოება-დაწესებულებებს, კოოპერატივებს და კერძო პირებს ვენტილაციის სისტემის დანადგარ-მოწყობილობათა მონტაჟს, მის შეკეთებას და სხვა სახის სამუშაოებს. ანგარიშსწორება იწარმოებს გადარიცხვით ან ნაღდ ანგარიშზე.

კოოპერატივის მისამართი: ქ. ზუგდიდი, რაიპურკომბინატის მიმდებარე ტერიტორია ან დროებით კლ. ხორავას ქუჩა 40. ენგურქაღალდკომბინატის ტერიტორია ცეკავშირის ბაზა. ტელ. 6-17-26.

შვილი ეთერი. შვილიშვილები: მერაბ. შორენა ჩხოლარიები. რძლები გოგონა შენგელია. მარინა თოდუა. ლოლა. ბაჩუა ჩხოლარიები. სიძე შერმადინ თოდუა. მაზლიშვილები: ლეილა ზურაბი. სვეტა. ნუნუ. დეიდაშვილები ეთერი, ვახტანგ თოხაძეები. მზახალი კაპიტონ შენგელია. თამარ ფულარია ოჯახებით იუწყებიან

ვალია (ქვიზა) ტარიელის ასულ ფულარია-ჩხოლარიას

გარდაცვალებას, დაკრძალვა 2 დეკემბერს. ხ. ანაკლიაში. გამოსვენება რუსთაველის 171.

მეუღლე მზია. შვილები: მაია. ჯამბული. ზური. დები: ლამარა, ვალიდა, სიძეები. გია გელიაშვილი, ჯუმბერი გერგედავა, ამირიკო კაშიბაძე, დეიდა ბუძღუ, სიდედრი საშა, შვილიშვილები ლანა. ანა. ცოლისდა ვარდო. ცოლისძმა ოთარი ახალაიები. დისშვილები: შორენა. ლალი, ნონა. ნატო შეროზიები. ხვიჩა მაკა. პავლიკა გერგედავები. ანგა. მაკა. ეკა კაშიბაძეები. მზახალი ელიკო გელიაშვილი. დეიდაშვილები. ბიძაშვილები. ახლო ნათესავები იუწყებიან

ვილსონ კირილეს ძე თორდიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2, 3 დეკემბერს. დაკრძალვა 4 დეკემბერს 4 საათზე სოფ. ზედაეწერში.

ინგირის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი იუწყება

ფრიდონ დავითის ძე ტაბალუას გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ნინელი. შვილები სოფიკო, რუსიკო, დები ბაბუცა, ლამარა. თალიკო. ციალა და მზიური. სიძეები კოლაა მოლაშხია. უშანგი კობახიძე. ალგორ ქადარია ენვერ სვირავა. მიშიკო თოდუა. დისშვილები ნუგზარი. მარინა. პაატა მოლაშხიები. გურამი. გოჩა კაკულიები. ნანი ტაბალუა. მერაბი. ვეფხვია. ელგუჯა სიჭინავები. ია. კობა კობახიძეები. ცოლისდები: ნუნუ. ნანული ჯგუშიები. ცოლისძმა გოდერძი კუპრავა. ქვისლები ბორის კუპრავა. გონელი ჭკადუა. ბიცოლები: თამარა. ნორა. ბიძაშვილები ნორა. სულიკო. ვალიკო. ვაჟა. ჟორა ტაბალუები. თათუშა. ამალი, ქორდიკო. ჯიმშერი ომიანე გვილავები. მზეონა. თორნიკე კიტიები, მამიდაშვილი ზაირა კვარაცხელია. ახლო ნათესავები იუწყებიან

ფრიდონ დავითის ძე ტაბალუას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6, 7 დეკემბერს. დაკრძალვა 8 დეკემბერს კახათში.

შვილი ზურაბა. რძლები: დუნიზა კანკია, ნელი ტორუა, შვილიშვილები ფელიქსი, ფრიდონი, ფატიმა ჭიჭალუები, და ნუცა, ძმა ჟორა არქანიები, დისშვილები ჯონი. ოთარი ყოლბაიები, ნუგზარი. ზური. ქეთო ჯაფარიძეები. შალიკო მალიჩავა. ძმისშვილები ფუფა ხასაია, ვალერი, კოტე. გივი. მანანა. რეზო. ვალერი. ხუნტული. ტანგული. ეთერი. ციალა არქანიები. მული შვილი ხუტა ხვიჩავა, მაზლიშვილები ქეთო. ლიმონი. ნუგზარი ჭიჭალუები, მზახლები ჟუჟუნა. შალვა ყანკიები. ბიძაშვილები. მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

ხუტა ქუთის ასულ

ფიფია-ჭიჭალუას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2, 3 დეკემბერს. დაკრძალვა 4 დეკემბერს 16 საათზე. გამოსვენება ქ. ზუგდიდი. წერეთლის 69.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, ...ორრედაქციის 2-47-09

საქ. ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000 შეკ. №3068